სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ხელშეკრულება N-17

ქ.გურჯაანი 2023 წ.

ერთის მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი** (ს/კ 227767841) წარმომადგენელი მისი დირექტორის ზურაბ ხუროშვილის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“) და მეორეს მხრივ **ი/მ** გიორგი ხატიაშვილი (ს/კ13001002425) სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N-13 ბრძანების მე-2 „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის მეთოდით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ თერმინთა გამნარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ძედმიწევნით შესრულებისთვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“) - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ააიპ **გურჯაანის მუნიციპალური კულტურის ცენტრი** მოამარაგოს **CPV**: კოდებით 31700000- ელექტრონული, ელექტრომექანიკური და ელექტროტექნიკური აქსესუარებბი.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულებუის ღირებულება შეადგენს 356 (სამას ორმოცდათექვსმეტი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის მიერ საქართველოს მომქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა განაცხადს.
3.3. ხელშეკრულებაში ფიქსირებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და შესაბამისად ღირებულება წარმოადგენს რა საორიენტაციოს, შემსყიდველი ვალდებული არ არის მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მოახდინოს საიორიენტაციო ღირებულების შესაბამისად განსაზღვრული სახელშეკრულებო ღირებულების სრულად ათვისება.

4. მარეთა უფლება-მოვალეობანი:

4.1. შემსყიდველი უფლება მოსილია : ა) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება; ბ)საქონლის მიწოდებამდე

გამოითხოვოს მისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
4.2. შემსყიდველი ვალდებულია ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია; ა) მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
4.4. მიმწოდებელი ვალდებულია: ა) მიაწოდოს საქონელი სრული მოცულობით იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-7 მუხლში.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი:

1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, ჭარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ ფაქტურების საფუძველზე 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება:

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას უწევს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;
6.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზი ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. საქონლის მიწოდების ვადა:

7.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად მოთხოვნის შესაბამისად **ხელშეკრულების ხელის მოწერიდან 2023 წლის 30 მარტის ჩათვლით.**

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის:

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შეწყვეტის წესი:

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების , დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ჭერილობიტი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის , ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების 10%-ზე მეტი ოდენობით;
9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის

შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.5. ხელშეკრულების 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნიობოს ამის შესახებ მეორე მხარეს:
9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეტა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ძეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;
10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან;
10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განიხილება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყუველა დავ გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელსეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
აიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	**ი.მ გიორგი ხატიაშვილი**
ხაზინის ერთიანი ანგარიში	**ს/ნ 13001002425**
TRESGE22	**ბანკის კოდი: BAGAGE22**
ს/ნ 227767841	**ა/ნ GE18BG0000000803050100**
დირექტორი: ზურაბ ხუროშვილი	**გიორგი ხატიაშვილი**
GURJAANI MUNICIPAL CULTURAL CENTER Digitally signed by GURJAANI MUNICIPAL CULTURAL CENTER Date: 2023.03.21 10:38:37 +04'00'	George Khatiashvili Digitally signed by George Khatiashvili Date: 2023.03.21 10:32:00 +04'00'